დასკვნა:**დ02.37221111**

თარიღი:**21/04/2022**

დასკვნა

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ტრანსპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" – დადგენილების პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის" კომისიამ განიხილა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ტრანსპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი და დაადგინა:

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ტრანსპორტის სამსახურის დებულება" შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

2. დებულებით განსაზღვრული სამსახურის საქმიანობის ძირითადი პოზიციები, ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციისა და ახლის მშენებლობის, აგრეთვე სატრანსპორტო ქსელის განვითარების შეთანაწყობილი, მიზანმიმართული და ეფექტური ღონისძიებების განხორციელების ფართო შესაძლებლობებს.

3. შენიშვნები და წინადადებები სამსახურის დებულების არც საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში და არც კომისიის სხდომაზე არ დაფიქსირებულა.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ტრანსპორტის სამსახურის დებულების" დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი